საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

22/03/2023
N 09-02-16/154

154-09-02-16-2-202303221402

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
აჭარისა და გურიის რეგიონულ სამმართველოს
უფროსს ბატონ ივანე შენგელიას

სადეპუტატო კითხვა

არაერთხელ მოგმართეთ წერილობით, რომ ბარცხანის, ბონისა და თამარის დასახლებებში შეიმჩნევა ნავთობის მძაფრი სუნი, ზოგჯერ სუნთქვა შეუძლებელია. ჩემს წერილებზე პასუხი მივიღე, რომ ტერმინალი დაჯარიმდა. მაშინ, როცა კომპანია აგრძელებს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის უხეში დარღვევებით საქმიანობას, არასაკმარისია დაჯარიმება და საჭიროა უფრო მკაცრი რეაგირება, მათ შორის გადაცდომის/დანაშაულის სიმძიმის მიხედვით საქმიანობის შეჩერება, საგამოძიებო ორგანოებზე მასალების გადაგზავნა და სხვა. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოხდეს იქ დასაქმებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, რადგან, როცა მოშორებით ასეთი მძაფრი და შემაწუხებელი სუნია, ადგილზე დასაქმებული პირების ჯანმრთელობაზე უფრო მეტ ნეგატიურ გავლენას მოახდენს.

მოვითხოვთ დაუყოვნებლივ, სათანადო რეაგირებას, ამავე დროს გთხოვთ გვაცნობოთ:

1. რამდენჯერ მოხდა 2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე კომპანიის დაჯარიმება, კანონმდებლობის შესაბამისი მუხლისა და ჯარიმის ოდენობის მითითებით;
2. 2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე რამდენჯერ მოხდა საქმიანობის შეჩერებაზე გადაწყვეტილების მიღება და კომპანიის მხრიდან აღსრულდა თუ არა გადაწყვეტილება? თუ არ აღასრულა კომპანიამ გადაწყვეტილება რა რეაგირება მოახდინეთ? გთხოვთ მოგვაწოდოთ საქმიანობის შეჩერებაზე მიღებული გადაწყვეტილებების და მისი აღსრულების შეფასების დოკუმენტების, ასევე აღსრულების დაყოვნების გამო, თქვენს მიერ გატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

3. გადაცდომის/დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე 2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე რამდენჯერ მოხდა საქმის მასალების გადაცემა საგამოძიებო ორგანოებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ დოკუმენტების ასლები;
4. გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე, საჭირო იყო თუ არა იქ დასაქმებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ასეთი მოთხოვნა წარდგენილი იქნა თუ არა თქვენს მიერ კომპანიაზე ან რომელიმე სახელმწიფო უწყებაზე? ასეთის არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ, შესაბამისი დოკუმენტების ასლები;
5. გარემოს დაბინძურების/გადაცდომების/დარღვევების სიმძიმიდან გამომდინარე ვალდებული იყავით თუ არა მოსახლეობისათვის გეცნობებინათ გარემოს დაბინძურებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ და რა რეაგირება მოახდინეთ ამ მიმართულებით?

პატივისცემით,

გია აბულაძე

საბჭოს წევრი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები